



MES 8 22 0000567858



01/06/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 17.05.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:55სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- 4. ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- 5. ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 6. თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
- 7. ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
- 8. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- 9. ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 10. ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ეროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

11. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

12. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	I
2	ანზორ აბშილავა		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I
3	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4	ირაკლი გუჯაბიძე		სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	თეიმურაზ ქორიძე		უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	II, III

6	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	II, III
7	ნინო გაგუა		სამართლის სკოლის დეკანი, ასოც. პროფესორი	II, III
8	თამარ სადრაძე		„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III
9	გიორგი გოგიშვილი		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III
10	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
11	ნათია ლაჭავა		„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V
12	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
13	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
14	ციცინო დავითულიანი		„გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
3	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამთო და გეოინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.07.2021 გადაწყვეტილება № 694731
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება - 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, სასწავლო კორპუსი №3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო დონდოლაძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი რეკომენდაციების შესრულებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად იყო აღწერილი რეკომენდაციების შესრულების პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ხათუნა მხეიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია, აგრძელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და 7 წლის თავზე უკვე ყველა რეკომენდაცია იქნება სრულად გათვალისწინებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:15

დასრულების დრო: 14:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი
4	აკრედიტებული
	22.03.2021

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 268061
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.03.2021 გადაწყვეტილება № 268094
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო 7 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, დაწესებულებამ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ფაქტობრივად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და ზოგიერთი რჩევა. მეორე რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები) დაკავშირებით, ექსპერტის მოსაზრებით რამდენიმე სასწავლო კურსთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაცია იყო შესრულებული ნაწილობრივ ისევე, როგორც პირველი რეკომენდაცია (რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა). ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა შეფასების მექანიზმს არ ახლდა შეფასების გეგმა, რომელშიც უნდა ყოფილიყო ნაჩვენები თუ რა რაოდენობის სტუდენტებზე შეფასდება სწავლის თითოეული შედეგი. დანარჩენი რეკომენდაციები იყო მომავალ გეგმებზე გათვლილი და უნივერსიტეტმა გამოხატა მზაობა მათ შესასრულებლად. არსებობს საუნივერსიტეტო წამახალისებელი მექანიზმები, კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის შესახებ, თუმცა მაჩვენებელი დაბალი იყო და, შესაბამისად, გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. ასევე, მეექვსე რეკომენდაციაც (რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში), მიმართულია სამომავლოდ და უნივერსიტეტმა აქაც გამოთქვა სრული მზადყოფნა მის შესასრულებლად. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საბჭოს მიერ

გაცემული რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა ექსპერტმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ვერ ნახა სამი სასწავლო კურსის სილაბუსის წინაპირობების დაზუსტების შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, განაცხადა, რომ გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მაგ., 15 თებერვალს ჩატარდა ვებინარი, რომელიც დაეთმო ისეთი მნიშვნელოვანი პლატფორმის გამოყენებას, როგორცაა HeinOnline, იგი დაინტერესდა აქვთ თუ არა სტუდენტებს თავისუფალი წვდომა HeinOnline-სა და LexisNexis პლატფორმებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში გაცემული იყო 7 რეკომენდაცია, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აბსოლუტურად დაეთანხმა ექსპერტს, რადგან რეკომენდაცია გულისხმობდა მხოლოდ იმ კრიტერიუმების მითითებას, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასება, დაწესებულების მიერ გადაგზავნილ იქნა, მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტი, მან განმარტა, რომ შეეძლო გაეზიარებინა და ეჩვენებინა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც განსაზღვრულია ვის მიერ და რამდენ სტუდენტზე უნდა მოხდეს შეფასება. როგორც ცნობილია, დაწესებულებას არ ჰყავს ბევრი სტუდენტი და ამიტომ დაგეგმილია ყველა სტუდენტის მონაცემების შეფასება. დაწესებულებას, რა თქმა უნდა, აქვს ინსტრუმენტი, თუმცა ვინაიდან რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ითვალისწინებდა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ასახეს სამიზნე ნიშნულებში და ასეთი სახით გააგზავნეს. HeinOnline, LexisNexis და სხვა ინტერნეტ-რესურსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა, რაც მითითებული არის დაწესებულების ვებ გვერდზე, პერიოდულობით სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგი როგორც ბაზების წარმომადგენლების, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკის სამსახურის მიერ, სტუდენტებს აქვთ ღია წვდომა და შეუძლიათ გამოიყენონ როგორც საგანმანათლებლო, ასევე კვლევითი კუთხით. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ორი სავალდებულო და 5 არჩევითი სასწავლო კურსის წინაპირობების დაზუსტებას, განმახორციელებელი პერსონალის მიერ გათვალისწინებული იქნა ერთი სავალდებულო და სამი არჩევითის მიმართ გამოთქმული რეკომენდაცია.

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ სადრაძემ, მეორე (რეკომენდებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები), მესამე (რეკომენდებულია უსდ-მ გადახედოს ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობას, სასწავლო კურსი სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით) და მეშვიდე (საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურის სილაბუსებიდან ამოღებული იქნეს საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“) რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ რადგან აღნიშნული რეკომენდაციები პროგრამისთვის იყო მიზნობრივი და მნიშვნელოვანი, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია საათებთან დაკავშირებით, განსაზღვრეს 2-2 საათი სალექციო და სასემინარო მუშაობისთვის, მეშვიდე რეკომენდაციის შესაბამისად, მოახდინეს ძალადაკარგული ნორმატიული აქტების მოწესრიგება. ნაწილობრივი თანხვედრა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან იყო მეორე რეკომენდაციის შემთხვევაში. დაწესებულებამ გაცემული ხუთი რეკომენდაციიდან

გაითვალისწინა სამი, „ადმინისტრაციული-საპროცესო სამართლის“ წინაპირობებთან მიმართებაში განსაზღვრეს „სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ნაწილი 1“ შესწავლა, ასევე არჩევითი სასწავლო კურსი აქვთ „ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია“, სადაც დაშვების წინაპირობად განისაზღვრა „სანივთო სამართალი“, „შრომის სამართალი“ და „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, არჩევითი სასწავლო კურსი იყო „კრიმინოლოგია“, რომელსაც წინაპირობად განისაზღვრა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, ასევე, არჩევით სასწავლო კურსს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ წინაპირობად განესაზღვრა „სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი“. რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომლებთანაც არ მოხდა თანხვედრა და დაწესებულებამ ვერ გაითვალისწინა, მიმდინარეობდა შემდეგი პროცესი, შეიქმნა სამუშაო კომისია, რომელიც მუშაობდა სილაბუსის ავტორებთან ერთად, პირველ რიგში მათგან ისმენდნენ რეკომენდაციას გაზიარება/არ გაზიარების შესახებ, მაგ., სასწავლო კურსზე „სასჯელის შეფარდება“, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ მისი წინაპირობა ყოფილიყო, მხოლოდ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, კომისიამ მოუსმინა სილაბუსის ავტორს, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული საგნის წინაპირობად მხოლოდ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ არ იქნებოდა საკმარისი, რადგან სასჯელის შეფარდება და ცნობა პროცესის მეხუთე თავშია მოცემული, ასევე სასამართლო პრაქტიკის განხილვა სილაბუსების მიხედვით იყო მოცემული, რაც საპროცესო კოდექსის მეათე თავთან იყო დაკავშირებული და მისგან მოწყვეტილად ვერ განიხილავდნენ, ასევე, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი ევროპული კონვენციის სტანდარტები და ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებების გაზიარება მეთორმეტე თავშია გათვალისწინებული, ამიტომ თვითონ სილაბუსის ავტორი მიიჩნევდა, რომ სრულყოფილი ცოდნისა და სილაბუსით დასახული მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი იყო არა მხოლოდ იმ წინაპირობის წარმოდგენა, რაც რეკომენდაციაში იყო, არამედ იმის დატოვებაც, რაც უკვე იყო გაწერილი წინაპირობად. შემდეგ ამ საკითხზე გაიმართა მსჯელობა და კომისია დაეთანხმა სილაბუსის ავტორს. რაც შეეხება სასწავლო კურსს „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ მოთხოვნილი იყო, რომ წინაპირობად განსაზღვრულიყო „კონსტიტუციური სამართალი“, აქაც სილაბუსის ავტორისგან მიიღეს განმარტება, რომ არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი სისტემა და არა სამართლის ერთ-ერთი დარგი, შესაბამისად შესაძლებელია მისი შესწავლა წინაპირობების გარეშე, კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაეთანხმა სილაბუსის ავტორს. „კონკურენციის სამართლის“ დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი იყო „ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი 2“. სილაბუსის ავტორმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმებოდა რეკომენდაციას, რადგან „კონკურენციის სამართალი“ არის წმინდა კერძო მიმართული სასწავლო კურსი, საკითხები არის ყველაფერი, რაც ჩამოთვლილია კერძო სამართლის სფეროში, ასევე მომჩივანს შეუძლია დავა აწარმოოს არა ადმინისტრაციული ორგანოს გავლით, არამედ პირდაპირ სასამართლოში. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალთან არის ძალიან მცირე შეხება, თანაც იმ შემთხვევაში თუკი ამას მოდავე მხარე მიიჩნევს და ამ წინაპირობას სასწავლო სილაბუსის ავტორი არ დაეთანხმა, კომისიამ იმსჯელა და დაეთანხმა მას. დაწესებულებამ გაიზიარა რამდენიმე რჩევა, მაგ., სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეთავაზებული აქვს სამი სასწავლო კურსი „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი კერძო სამართალში“ და „იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში“, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი. ვინაიდან იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა შეფასების მეთოდია, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსებს, თემატიკის გათვალისწინებით, ეწოდოთ შესაბამისად „ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი“, „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ობიექტურად შეფასების მიზნით, სასურველია სამივე სავალდებულო კურსმა შეიძინოს სავალდებულო კურსის სტატუსი. ერთი ნაწილი, რომლის გაზიარებაც ვერ მოხდა, იყო სამივე

სასწავლო კურსის სავალდებულო კურსად წარმოდგენა, სამივე სასწავლო კურსის გავლა არ წარმოადგენს აუცილებლობას სტუდენტისთვის, სტუდენტს შეუძლია განახორციელოს არჩევანი თავისი ინტერესიდან გამომდინარე, თუ არჩევს ერთ-ერთ პრაქტიკულ კურსს დაწესებულება ჩათვლის, რომ სავალდებულო კომპონენტი მისი ინტერესის ვიწრო სფეროში გავლილი აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრის, თამარ ზარანდიას, მოსაზრებით ძალიან კარგია, რომ დაწესებულებამ იმსჯელა თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ, თუმცა მისი აზრითაც „სასჯელის შეფარდებაზე“ წინაპირობად „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ სრულიად საკმარისია, ასევე „საერთაშორისო საჯარო სამართალს“ წინაპირობად უნდა განესაზღვროს მინიმუმ „კონსტიტუციური სამართალი“, მან აღნიშნა, რომ არჩევით სასწავლო კურსზე „სასჯელის შეფარდება“, გართულებულია დაშვება და წინაპირობა ისე არის დადგენილი, რომ სტუდენტი შედეგზე სწავლის შედეგზე აუცილებლად გავიდოდა.

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ სადრაძემ, დაადასტურა, რომ სავალდებულო კურსის სახით არის წარმოდგენილი, უბრალოდ მიმართულების მიხედვით არის დაყოფილი და ერთ-ერთი სავალდებულოდ ასარჩევია, თუმცა სტუდენტები არჩევანში არიან თავისუფლები და ინტერესის სფეროდან გამომდინარე ირჩევენ. „საერთაშორისო საჯარო სამართალთან“ მიმართებით კი განაცხადა, რომ დაწესებულების აღნიშნული გადაწყვეტილება პირველადია და შესაძლებელია მომავალში დარწმუნდნენ არგუმენტაციის მართებულობაში. ყველა რეკომენდაციას უყურებდნენ აუცილებლად გასაზიარებლად, თუმცა, როდესაც სილაბუსის ხელმძღვანელები ასაბუთებდნენ, ასე მიიჩნიეს საჭიროდ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, რეკომენდაციას რჩევად მიიღებდნენ.

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ სადრაძემ დასძინა, რომ არა მიიღებდნენ, არამედ უკვე მიიღეს რჩევად.

„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გოგიშვილმა, განაცხადა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი იყო 7 რეკომენდაცია. ანგარიში ადასტურებს, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებულია, კონკრეტულ სილაბუსებთან მიმართებით შენიშვნები/რეკომენდაციები არ ყოფილა, გარდა ერთი ტექნიკური ხარვეზისა, რომელიც გამოსწორებულია. ასევე გაითვალისწინეს რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომების აქტუალობასთან დაკავშირებით, შეადგინეს კატალოგი, რომელსაც სთავაზობენ მაგისტრებს და აქვთ შესაძლებლობა მათაც შესთავაზონ დაწესებულებას თემის ხელმძღვანელთან ერთად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:39

დასრულების დრო: 15:02

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

თუმცა საბჭომ იმსჯელა და მიზანშეწინააღმდეგ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 მარტის №268094 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია ასახოს აკრედიტაციის დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრში წარმოსადგენ თვითშეფასების ანგარიშში (სამ წელიწადში ერთხელ წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში).

15:07 საათზე საბჭოს შემოუერთდა ხათუნა თოდაძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ
1	ბიოლოგია

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.03.2021 გადაწყვეტილება №268168
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოლოგია - 0511
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ირინა ნაკაშიძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ გადადგმულია ძალიან მნიშვნელოვანი, მხარდამჭერი ღონისძიებები ყველა რეკომენდაციასთან მიმართებით, საბჭოს მიერ გაცემული 10 რეკომენდაციიდან 7 რეკომენდაცია შესრულებულია, რაც შეეხება 3

რეკომენდაციას დასაზუსტებელი რჩევა გარკვეული კითხვები, კერძოდ, დასაზუსტებელია მეხუთე რეკომენდაციის (პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დეტალურად გაიწეროს ხარჯები, ხარჯების შემოსავლებზე მეტობის შემთხვევაში მითითებული იქნას მათი დაფარვის წყაროები) სრულყოფილად შესრულების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულია გარკვეული ღონისძიებები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო ოფიციალურად დამოწმებული და რეკომენდაცია ვერ შეფასდა შესრულებულად. მეექვსე რეკომენდაციის (წარმოდგენილი იქნას 5 წლიანი გეგმა, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ლაბორატორიების ეტაპობრივად განახლების გრაფიკი, რომელიც სტუდენტებს ექსპერიმენტების თანამედროვე აპარატურით ინდივიდუალურად ჩატარების საშუალებას მისცემს) შესახებ მან აღნიშნა, რომ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, დაწესებულებას განხორციელებული აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა, ლაბორატორიული აღჭურვის მიმართულებით არ იყო წარმოდგენილი 5-წლიანი სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, მას დარჩა კითხვები ამ ნაწილთან დაკავშირებითაც. მეშვიდე რეკომენდაციის (პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია) შესახებ მისი განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ნათლად აქვს განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის საერთო სტრატეგია, ასევე ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის მიზანში ნათლად არ იყო წარმოდგენილი უშუალოდ „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი. საერთო ჯამში 10 რეკომენდაციიდან 7 რეკომენდაცია სრულად შესრულებულია, 3 რეკომენდაცია კი შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორმაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება მთელი წლის მანძილზე მუშაობდა რეკომენდაციების შესრულებაზე, ბევრი რამ დაიგეგმა, ფინანსური დოკუმენტის შესახებ განმარტა, რომ მხოლოდ ხელმოწერა აკლდა და შესაძლებელია მისი გადაგზავნა, უკვე ხელმოწერილი ვერსიის.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებს.

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლაჭავამ, ბიუჯეტის დოკუმენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმით, რომელიც Microsoft Excel Worksheet დოკუმენტს წარმოადგენს, შესაბამისი პარამეტრების შევსებით გამოთვლა იმ ხარჯების, რომლებიც ფინანსური უზრუნველყოფისთვის არის საჭირო და აკრედიტაციაზე წარმოდგენილ „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის წინ და ამ მომენტშიც, ასეთი დანართის სახით შესაბამის დადგენილებებთან ერთად ყოველთვის აგზავნიან აღნიშნულ დოკუმენტს, თუმცა ბიუჯეტს განიხილავს/ამტკიცებს პროგრამის/ფაკულტეტის საბჭო და ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი და შემდეგ აისახება უნივერსიტეტის ბიუჯეტში. შესაბამისად, აღნიშნული ნამდვილად შესრულებადი ბიუჯეტია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამას ფინანსურად და ყველა იმ ხარჯებს, რომლებიც ამ პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო და როგორც ანგარიშის დასკვნაში წერია, კითხვები გაჩნდა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის არქონის გამო, თუმცა უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი ნამდვილად არსებობს. მან აღნიშნა, რომ პროგრამას ცენტრში წარსადგენი ექნება სამ წლიანი, შუალედური ანგარიში ერთი წლის

შემდეგ და, შესაბამისად, დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და ხელმოწერით/ბეჭდით წარადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ, როგორც გაიგო ბიუჯეტი კეთდება Microsoft Excel Worksheet-ში, თუმცა არ მიდის მსჯელობა თუ რა ფორმაში კეთდება ბიუჯეტი, არამედ საუბარია 5 წლიან სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იქნებოდა მორგებული და, როგორც წინა საბჭოს წევრს, შეუძლია თქვას, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინეს იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება ერთ წელიწადში ვერ შეისყიდის საჭირო რესურსებს. შესაბამისად, დამოწმებული, ავტორიზებული ბიუჯეტი იქნებოდა იმის დასტური, რომ ინსტიტუცია წინ დგამს ნაბიჯებს პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის. შესაბამისად, Microsoft Excel Worksheet-ში გაკეთდება Microsoft Word Document-ში თუ რომელიმე სხვა პროგრამაში, ამას არ აქვს მნიშვნელობა, საკმარისი იქნებოდა ერთი 5 წლიანი სამოქმედო გეგმა დადასტურებული შესაბამისი სტრუქტურის მიერ და ბიუჯეტი, ასევე, შესაბამისი სტრუქტურის/უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი. მისთვის გაუგებარია არსებობს აღნიშნული დოკუმენტები თუ არ არსებობს.

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლაჭავაძემ, განაცხადა, რომ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულების ფინანსურ უზრუნველყოფას განსაზღვრავს, რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, მოწოდებული იყო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ჩანს, თუ როგორ დაიგეგმა უნივერსიტეტში აღნიშნულ მიმართულებაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარების შესაბამისი ღონისძიებები მატერიალური უზრუნველყოფით. ჯერ კიდევ 2020 წელს იყო შეთავაზებული უნივერსიტეტში მოქმედი კვლევისა და მხარდაჭერის ცენტრის მიერ ადმინისტრაციისთვის, რომ გამოყოფილიყო კონკრეტული თანხა, გათვალისწინებული ყოფილიყო უნივერსიტეტის ბიუჯეტშიც, რომელიც მოხმარდებოდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებას. 200 000 ლარის ოდენობით თანხა გათვლილი იყო 5 ფაკულტეტზე და 2021 წელს დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლაჭავაძემ განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება, რომელიც ლაბორატორიულ სამუშაოებთან/კვლევებთან არის დაკავშირებული, ძალიან დიდ მატერიალურ რესურსს მოითხოვს და შესაძლებელია უნივერსიტეტი ვერ გაწვდეს, თუმცა 2021 წელს დაწესებულებას უნდა გაეახლებინა ორი ფაკულტეტის მედიცინისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული სივრცე. გამოყოფილი თანხით დაწესებულება აღჭურვა ლაბორატორიული სივრცე, რომელსაც იყენებდა როგორც მედიცინის ფაკულტეტი, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი. მან დამატებით აღნიშნა, რომ გადადგმული ნაბიჯები დასტურდება დოკუმენტაციით, ამ თანხის ფარგლებში შეძენილია/მოხილიზებულია ის რესურსი, რაც მანამდე არსებობდა. 2022 წელს დაიგეგმება პროცესი, თუ რა საჭიროებები ექნებათ 2024 წლამდე განსახორციელებელ პროგრამებს, რადგან ავტორიზაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია რესურსების შეფასება. ამიტომ თუ 5 წლიანი სამოქმედო გეგმა ვერ წარმოადგინა დაწესებულებამ მხოლოდ იმიტომ, რომ რთული აღმოჩნდა იმის დაგეგმვა თუ რაზე/რა გაიხარჯება და რას დაგეგმავს ფაკულტეტები საჭიროებებიდან გამომდინარე და მათ შორის ის ფაკულტეტი, რომელზეც განსახილველი პროგრამა ხორციელდება, თუმცა მალევე შუალედური თვითშეფასების ვალდებულება აქვს პროგრამას, ავტორიზაციის პროცესშიც ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სადაც აისახება თუ რას აკეთებს უნივერსიტეტი.

ინტერნაციონალიზაციის შესახებ ნათია ლაჭავაძემ განაცხადა, რომ როდესაც მიზანი ფასდება სტანდარტის მიხედვით, მიზანმა უნდა დააკმაყოფილოს და ასახოს ის თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსდამთავრებულის მომზადებაზე იქნება ის

ორიენტირებული, მისი მოსაზრებით „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში ნამდვილად ჩანს, რომ მოხდება ცოდნის მიწოდება და კომპეტენციების დადასტურება, იმ საერთაშორისო გამოცდილებების/კარგი პრაქტიკების გაზიარებით, რაც არსებობს ამ მიმართულებაში. გარდა ამისა შეუძლებელია სტუდენტს ასწავლონ ბიოლოგია და სხვა მიმართულებები იმ მიღწევების გარეშე რაც არსებობს აღნიშნულ სფეროში. წინა აკრედიტაციის დროს პროგრამა შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პროგრამის შინაარსშიც ჩანს. სტანდარტში ჩანს, თუ რა მოიაზრება ინტერნაციონალიზაციაში, რას უნდა გულისხმობდეს პროგრამის შინაარსი, ერთ-ერთი ინდიკატორი არის სასწავლო კურსების უცხო ენაზე შეთავაზება, პროცესი დაწყებულია და შუალედურ ანგარიშში აისახება. ასევე საუბარი იყო გრანტებზეც, რომელზეც დაწესებულება იზრუნებს, რომ გაფართოვდეს პროგრამის სოციალური ურთიერთობები და სტუდენტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როდის გაიარა პროგრამამ აკრედიტაცია.

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლაჭავამ განაცხადა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 5 მარტს. მან განმარტა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის რთულია რესურსების შესყიდვა.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, დასძინა რომ საუბარი არ ყოფილა შესყიდვაზე, საუბარი იყო სამოქმედო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ორ ნაწილს: (1) ინვენტარიზაციას - ანუ რა ლაბორატორიული რესურსი აქვს დაწესებულებას, და (2) შემდგომ დაგეგმვას საჭიროებების მიხედვით. წინა საბჭომ ანგარიში გაუწია პროგრამას, გაითვალისწინა უნივერსიტეტის სპეციფიკა, რომ ეს არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლისთვისაც არსებობს კონკრეტული ბიუროკრატიული პროცედურები, კანონმდებლობის შესაბამისად და სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროგრამა, რომლისთვისაც ლაბორატორიული მხარდაჭერა არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია, წარმოედგინა სამოქმედო გეგმა, რომლითაც დადასტურდებოდა ინსტიტუციის მზაობა პროგრამის მდგრადობასთან/ხელშეწყობასთან დაკავშირებით, მითუმეტეს, როდესაც საუბარია 7 წლიან აკრედიტაციაზე, რაც ნიშნავს არა მხოლოდ პროგრამის სტრუქტურას არამედ მის ლაბორატორიულ უზრუნველყოფასაც.

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლაჭავამ, განაცხადა, რომ „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და იმ უნარების განვითარებისთვის, რაც განსაზღვრულია, უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო რესურსები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ მოხდება მისი გადაიარაღება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:27

დასრულების დრო: 15:49

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთ წელში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დეტალურად გაიწეროს ხარჯები, ხარჯების შემოსავლებზე მეტობის შემთხვევაში მიეთითოს მათი დაფარვის წყაროები;
2. მოხდეს 5 წლიანი გეგმის წარმოდგენა, სადაც მკაფიოდ გაიწერება ლაბორატორიების ეტაპობრივად განახლების გრაფიკი, რომელიც სტუდენტებს ექსპერიმენტების თანამედროვე აპარატურით ინდივიდუალურად ჩატარების საშუალებას მისცემს;
3. პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია;

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის 2¹¹ პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან ერთი წლის ვადაში.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.03.2021 გადაწყვეტილება №258055
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები - 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, გიორგი ბრეგვაძემ, განაცხადა, რომ საბჭოს მიერ გაცემული იყო სამი რეკომენდაცია:

1. დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება აღწერილი შემოსავლები, ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის დაფარვის წყაროები;

2. საველე პრაქტიკებში აქტიურად უნდა მოხდეს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და დისტანციური ზონდირების (საჰაერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი) გამოყენება;

3. მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს საველე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება და ა. შ.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა გაცემული რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტს ანგარიშის დაწვრილებით შესწავლისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:53

დასრულების დრო: 15:56

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა ანა ჯავახიშვილმა დააყენა შუამდგომლობა მეექვსე საკითხის (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა) გადადების შესახებ, რადგან გათვალისწინებული მიზეზის გამო ექსპერტმა ველარ შეძლო საბჭოს სხდომაზე ჩართვა. წარმოების ვადების გათვალისწინებით შესაძლებელი იყო საკითხის გადადება მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 17 მაისს, 15:55 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

